საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 472 2017 წლის 26 ოქტომბერი ქ. თბილისი

„სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №357 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №357 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/07/2017, 040030000.10.003.020066) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დებულების“ მე-9 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს – ბრძანებას, ხოლო

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას – ასევე ბრძანებას;“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**